პროლეტარელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 3 ივნისი, 1949 წ. № 110 (8413). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ვაშენოთ სარწყავი არხები სწრაფად და მაღალხარისხოვნად —მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

მ. მაკსიმოვი — ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე (მე-2 გვერდი).

საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე (მე-2 გვერდი).

ბ. ჯავახია — სოციალისტური საკუთრების საფუძველი (მე-3 გვერდი).

ვანო შადური — პუშკინი და საქართველო (მე-2 გვერდი).

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს პარიზის სესიაზე (მე-3 და მე-4 გვერდი).

ვაშენოთ სარწყავი არხები სწრაფად და მაღალხარისხოვნად

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ სოფლის მეურნეობის მუშაკებს ამოცანად დაუსახა უახლოესი რვა-ათი წლის განმავლობაში უზრუნველყონ ჩვენი რესპუბლიკა საკუთარი მარცვლეულით. ამ ამოცანის განხორციელება, მთელ რიგ სხვა ღონისძიებებთან ერთად, ბევრად არის დამოკიდებული ახალი სარწყავი არხების მშენებლობაზე.

სარწყავი არხების მშენებლობა ისე ფართოდ არასოდეს არ ყოფილა გაჩაღებული, როგორც ახლა. მეოთხე სტალინური ხუთწლედის განვლილი წლების მანძილზე აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მთელი რიგი სარწყავი სისტემები, მათ შორის ქართლის რაიონებში დოეს-გრაკალისა და სკრა-ქარელისა, ხოლო სამხრეთ ოსეთში ეკზის ახალი არხი. მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული სალთვისისა და ალაზნის არხების მშენებლობის დასამთავრებლად. ზემოაღნიშნული არხების საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად რესპუბლიკის აღმოსავლეთ რაიონებს შეემატა მრავალი ათასი ჰექტარი სარწყავი ფართობი.

ახალი არხების მშენებლობის საქმეში ამ წარმატებათა მიუხედავად, რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამინისტრომ და რაიონების ხელმძღვანელმა ორგანოებმა შარშან მაინც ვერ უზრუნველყეს ქართლის რაიონებში წყალთა მეურნეობის მშენებლობის გეგმის მთლიანად შესრულება. არხების მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრებიდან ერთი მილიონი შანეთი აუთვისებელი დარჩა.

ჩვენი რეგსპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე წელს არხების მშენებლობის დარგში დიდი ამოცანებია დასახული. როგორც ცნობილია, გასული წლიდან განახლდა რესპუბლიკის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი სარწყავი სისტემის — სამგორის სისტემის მშენებლობა. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის სამგორის მრავალი ათეული ათასი ჰექტარი, დღემდე უნაყოფო ფართობის თვისებასს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ სისტემის პირველი რიგის სამუშაოთა მთლიანად დამთავრების შემდეგ იგი მორწყავს 37.500 ჰექტარ ფართობს, ხოლო ამ რაოდენობიდან 12.000 ჰექტარი უნდა მოიარწყოს 1952 წლიდან. მაგრამ სამგორის სარწყავი სისტემის მნიშვნელობა მარტო ამ ვეებერთელა ფართობის მორწყვით როდი ამოწურება. ამ სისტემის მაგისტრალურ არხზე აშენდება სამი საკმაოდ მძლავრი ჰიდროელექტროსადგური, რაც თვალსაჩინოდ გაადიდებს რესპუბლიკის ენერგორესურსებს. თბილისს მახლობლად აიგება უზარმაზარი წყალსაცავი ასეულ მილიონნახევარ კუბმეტრი წყლის ტევადობით, რაც სრულიად შეიცვლის ქალაქ ტბების უბნის პავას და დაამშვენებს ჩვენს დედაქალაქს.

უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგნენ შარშან სამგორის არხის მშენებლობას აღმოსავლეთ საქართველოს მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეები და დედაქალაქის მშრომელები. სამგორის სახალხო მშენებლობაში მარტო შარშან მონაწილეობა მიიღო 17 ათასზე მეტმა მშრომელმა, ხოლო მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობა 170 ათას კუბმეტრს შეადგენდა.

უდიდესი შრომითი აღმავლობით გაახლდა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა მომდინარე წლის 15 მაისიდან. განვლილ ორიოდე კვირაში ზემო სამგორის მაგისტრალური არხის მშენებლობაზე უკვე მოიხადეს თავიანთი მოვალეობა მცხეთის, გარდაბნის, თბილისის, ბოლნისისა და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეებმა. უმაღლეს შრომითი აღმავლობით მუშაობენ გორისა და სამხრეთ ოსეთის მშრომელები. ახლო მომავალში სამგორს ეწვევიან და ამ უდიდესი მნიშვნელობის სახალხო მშენებლობაში თავიანთ წვლილს შეიტანენ ქართლ-კახეთისა და იმერეთის მთელი რიგი რაიონების კოლმეურნეები.

მშენებლობაზე მომუშავეთა ენთუზიაზმი და მათ მიერ დღემდე შესრულებული სამუშაოს მოცულობა იმის გარანტიაა, რომ რესპუბლიკის კოლმეურნეები სასახელოდ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას. ამასთან ერთად სამგორის მშენებლობა ხელმძღვანელობის წინაშე დასახულია ამოცანა, შექმნან მშენებელ მუშათა მუდმივი კადრები. ამ მიზნით მარტო მიმდინარე წელს ორგანიზებულად უნდა შეგროვდეს ათასამდე კვალიფიციური მძღოლები. ამ მიმართულებით მისაბაძი ინიციატივა გამოიჩინეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა. ოლქის კოლმეურნეობებში მათ ფართოდ გააჩაღეს ახსნა-განმარტებითი მუშაობა სამგორის სარწყავი სისტემის უდიდეს მნიშვნელობაზე. ამის შედეგად ამ დღეებში სტალინირის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონებიდან სამგორში ხანგრძლივ სამუშაოდ გაეგზავნა 70 კოლმეურნე. ასეთივე ინიციატივა გამოიჩინეს თიანეთელმა და თეთრწყაროელმა კოლმეურნეებმაც. საჭიროა ამ თაოსნობას რეპუბლიკის სხვა რაიონებმაც მიბაძონ და აუცილებლად უზრუნველყონ სამგორი მშენებელ მუშათა მუდმივი კადრებით.

სამგორის მშენებლობისათვის ერთერთ მტკივნეულ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე სარემონტო ბაზებისა და სახელოსნოების მაღალკვალიფიციური მუშახელით დაკომპლექტება. ამ საქმეში, ქმედითი დახმარება უნდა გაუწიონ სამგორელებს ჩვენი დედაქალაქის მრავალრიცხოვან ლითონდამამუშავებელ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა. სამგორის სახალხო მშენებლობაში რესპუბლიკის ყველა მშრომელმა უნდა მიიღოს მონაწილეობა.

ერთსულოვანი აღფოთოვანებით შეუდგნენ სამხრეთ ოსეთისა და კასპის რაიონების კოლმეურნეები ვანათისა და თეზ-ოკამის ახალი არხების მშენებლობას. ამ არხების გაყვანის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს სტალინირისა და კასპის რაიონების მთელი რიგი სოფლების კოლმეურნეობებისათვის. ორივე ამ არხით მოირწყვება 11 ათასამდე ჰექტარი ფართობი. ათი დღის განმავლობაში ვანათის არხის მშენებლებმა 60 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულეს და ათ კილომეტრზე გაჭრეს არხი, ხოლო კასპელ კოლმეურნეებს თავიანთ არხზე უკვე შესრულებული აქვთ 70 ათასი კუბმეტრი მიწის სამუშაო.

ახალი არხების მშენებლობა მარტო ზემოაღნიშნულთ რიდი ამოიწურება. წელს ახალი არხები რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში შენდება. ამოცანა ის არის, რომ რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრო ამთავითვე სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა შრომითს აღმავლობას, უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამუშაოთა როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებას, უკვე მოქმედ სარწყავ სისტემათა დაცვის სამუშაოებს, მოქმედი არხების მაქსიმალური ნაყოფიერებით ექსპლოატაციას და მთლიანად აითვისონ არხების მშენებლობისა და გაფართოებისათვის მიმდინარე წლის ბიუჯეტით განკუთვნილი თანხები.

საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რაიონების მუშაობის შედეგების შეფასებისას წყალთა მეურნეობის სამუშაოთა შესრულება მიჩნეული იქნება ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად.

ვაშენოთ სარწყავი არხები უფრო სწრაფად და მაღალხარისხოვნად, უკეთ მოვაწყოთ არსებული არხების დაცვა და ექსპლოატაცია!

ჩაის ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 1949 წლის 1 ივნისის ცნობებით

რაიონების დასახელება	გეგმის შესრულება პროცენტობით წლიურისა	მაისისა
ბათუმის	13,7	78,0
ქობულეთის	11,5	64,6
სულ აჭარაში	**12,0**	**67,7**
გალის	24,0	113,3
ონრაძირის	25,2	118,6
გულრიფშის	43,3	204,4
სოხუმის	26,6	133,0
გუდაუთის	28,9	137,8
სულ აფხაზეთში	**25,1**	**118,6**
მაზარაძის	15,7	89,9
ზონტაყარის	21,7	121,0
ლანჩხუთის	19,6	108,8
სამტრედიის	31,4	143,2
წულუკიძის	33,1	140,1
ქუთაისის	43,7	174,7
წყალტუბოს	29,5	118,4
ტყიბულის	22,0	100,0
ცხაკაიას	26,6	121,3
აბაშის	32,8	163,9
გეგეჭკორის	28,5	135,3
ზუგდიდის	24,3	111,7
წალენჯიხის	24,0	110,8
ჩხოროწყუს	23,9	112,0
ხობის	25,4	115,6
ჩხარის	46,0	230,0
ზესტაფონის	41,0	205,0
სულ საქართველოს სსრ	**20,1**	**102,7**

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 5 ივნისს.

ჩვენს რესპუბლიკაში

პუშკინის ღლეების წინ

სოხუმი

გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის მოაღლოებასთან დაკავშირებით ფართოდ გაიშალა მზადება ქალაქ სოხუმის საწარმო-დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. საქალაქო საიუბილეო კომისიამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი საიუბილეო დღეების ორგანიზაციულად ჩატარებისათვის. მწერალთა კავშირში, ბერიას სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რესპუბლიკურ, საქალაქო ბიბლიოთეკებში და სამუალო სკოლების ბიბლიოთეკებში მოწყობილია პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის გამოფენები.

მშრომელთა დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა განყოფილების საელეკტრო ბიბლიოთეკა-ატელიეში ატარებს ლექციათ-საუბრებს ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების მუშათა კოლექტივებში ა. პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა ლექციები და მოხსენებები, მიძღვნილი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი.

დოცენტებმა ი. ზაპოროჟსკიმ, მ. დავიდოვსკიმ და უფროსმა მასწავლებელმა ბ. გვასალიამ წაიკითხეს ლექციები ა. ს. პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში ჩატარდა საღამო, მიძღვნილი დიდი რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისადმი. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება“, „პუშკინი და საქართველო“ და სხვ. საღამოს მეორე განყოფილებაში საინტერესო პროგრამით გამოვიდა მოსწავლეთა გუნდი.

გეგეჭკორი

რაიონულ საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო ა. ს. პუშკინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა. ტარდება საუბრები პუშკინის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. გამოფენილია პუშკინის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები.

პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეები და მასწავლებლთა კოლექტივი გულდასმით ეამზადებიან გენიალური რუსი პოეტის ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად.

წაკითხულ იქნა მოხსენებები: „ა. ს. პუშკინის ცხოვრება და შემოქმედება“, „პუშკინის ტრაგიკული დაღუპვა“, „პოეტური პეიზაჟი ა. ს. პუშკინის შემოქმედებაში“. (საკ. კორ).

რადიოკვანძები კოლმეურნეობებში

ამბროლაური. (საკ. კორ.). სოფელ თლუღოსა და ჭელიაღელაში დამთავრდა რადიოკვანძების მოწყობა. ორივე კოლმეურნეობაში უკვე გამართულია 115 წერტი. რადიოწერტილების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. უახლოეს დღეებში ყველა კოლმეურნის ბინაში იქნება საკუთარი რადიო წერტი.

კარგა ხანია დამთავრდა რადიოკვანძების მოწყობა აგრეთვე სოფელ ხოტევის, ხვანჭკარის და სადგელის კოლმეურნეობებში. ამ კოლმეურნეობებში ყველა კოლმეურნის ბინა რადიოფიცირებულია.

დაიწყო და მიმდინარე წლის ივლისს ბოლოსათვის დამთავრდება რადიოკვანძების მოწყობა სინთლისა და ჭრეალის სასოფლო საბჭოების ცენტრებში, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ ამ საბჭოებში შემავალ კოლმეურნეობებს.

გორელი კოლმეურნეები სამგორის არხის მშენებლობაზე. წინა რიგში — ხვენეთელი კოლმეურნეები.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

გორელები

ახალი მოვლენებით აღსავსე დღეებია სამგორის ველზე.

ერთ უბანზე მოპოვებულ შრომითი წარმატებას სხვა უბანზე მიღწეული უფრო მნიშვნელოვანი გამარჯვება მოსდევს, არხის ხაზი შეუნელებლივ წინ მიიწევს, ახალ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ფორმები სახეს უცვლიან გაფდანნოებული ველის ერთფეროვნებას.

სამხრეთ-ოსეთიდან ახალი ჩამოსული იყო და ის-ის იყო ერთკილომეტრიან ფრონტზე სამუშაოდ გაიშალა ლენინგორელთა შრომითი ლაშქარი, როდესაც ორხევსა და ნორიოსხევში მომუშავე სამგორელებს შორის ხმა გავრცელდა: გორელები ჩამოვიდნენ!

ჩამოვიდნენ საქართველოს უკედაგი დიდების რაიონიდან, დედა-ქართლიდან მცალამაგარი ვაჟკაცები, შაქრის ჭარხლისა და შეუდარებელი გორული ხილის, მარჯანიფერი ატ-ეურის უხვი მოსავლისათვის ბრძოლას შეჩვეული კოლმეურნეები. ახალი განწყობილებით, ენერგიითა და ხალისით გაიშალნენ ისინი არხის ტრასაზე.

შრომაში სახელგანთქმული რჩეული 520 ვაჟკაცი შეკრებილა გორში და სამგორისაკენ დაძრულა სამგორის ჯიუტ ბუნებასთან შესაბრძოლებლად. ნაცადნი არიან ასეთ საქმეებში ზეიდოლეფთელი, მეჯუდისპირელი, ჩარხისუბნელი, ხიდისთაველი, ქიწნისელი, კარბელი, ბერბუკელი, სვენეთელი და თორტიფელი კოლმეურნეები. შიო ანიაშვილს — კარბელ კოლმეურნეს მთელ სოფელში ვერავინ უსწრებს მუშაობაში. გიორგი რჩეულიშვილი, ვასო ხადური, ჭიჭიკო თედორაშვილი სოფლის თვალი და საამაყო ადამიანები არიან. ახლა ბერბუკელი კოლმეურნეებიც იკითხეთ, რა ვაჟკაცები არიან: კიბოთე მერაბაშვილი, სანდრო აბალაძე, ლადო გიგაური, ასევე ამაყობენ გორის რაიონის სხვა სოფლებშიც მოწინავე ადამიანებით, საკოლმეურნეო შრომის ოსტატებით.

ჭკითხეთ სოფელ კარბის კოლმეურნეობა „ახალი შრომის“ თავმჯდომარე ზაქარია მარიამიძეს, შარშან რომ ხილის მაღალი მოსავლისათვის მთავრობამ ლენინის ორდენით დაჯილდოდა. სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსულებმა შეჯიბრებაში გამოგიწვიეს და თქვენ რით უპასუხებთ ამ გამოწვევასთან.

— ნაკისრი სამუშაოს ოთხ დღეში შესრულებით! — მოკლე იქნება მისი პასუხი.

კარბელი კოლმეურნეობის მეზობლები ბერბუკელები მუშაობენ. 16 კოლმეურნე სტაბანოველი ჩამოუყვანია ამ სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ფილიმონ რუსიტაშვილს და მასაც გადაწყვეტილი აქვს ოთხ დღეში მორჩეს მინდობილ უბანზე მუშაობას.

— ჩვენ ორ კოლმეურნეობას შეჯიბრება გვაქვს იქაც, გორის რაიონში ყოველდღიურ მუშაობაში და აქაც, სამგორის არხის გაყვანაზე, კარბელებმა თუ აქ გაგვასწრეს, არხის გაყვანის სამუშაო უფრო ადრე დაამთავრეს, ადრევე დაბრუნდებიან თავიანთ კოლმეურნეობაში და გაგვასწრებენ, — ამბობს იგი და განაგრძობს: კიმოთე მერაბაშვილს რომ სამუშაოს მიანდობ“ მტკიცედ უნდა გაკვირდეს, რომ იგი მას საუკეთესოდ, სასახლოდ შეასრულებს. სულ ასეთი ბეჯითი, ერთგული და შრომისმოყვარე კოლმეურნეები შეგარჩიეთ აქ წამოსაყვანად. მართალია ცოტანი ვართ, მაგრამ მით უფრო სასახელო იქნება ჩვენთვის, რომ ასე ცოტა ხალხით ნაკისრ სამუშაოს სხვებზე ადრე და უკეთესი ხარისხით შევასრულებთ. არ გიჯერთ? — მოდით ზეგ და მაშინ დარწმუნდებით!

ზაქარია მარიამიძეც იმას ამბობს, რომ სამხრეთ-ოსეთიდან ჩამოსულებს გორელები არ ჩამორჩებიან, ხოლო გორელებს შორის რომ გამარჯვება კარბელებმა არ მოიპოვოთო, — ნუ დაგვრცხვავენ თორტიფელი და ხიდისთაველები,—ამას ჩვენ არ დავუშვებთო.

ისევ დილა იყო, როცა გორელები არხის გასაყვან სამუშაოთა შესრულებაში ურთიერთშორის სოციალისტურ შეჯიბრებას ანაღებდნენ, შუა კიდევ არ იყო მიაღლოვებული სუშუადღეო ძოჯანს, ხოლო გორელთა მარჯვენის ძალა უკვე თვალნათლივ ეჩინებოდა არხის პროფილს. მიწაყრილი ეზრდებოდა, სიღრმე მატულობდა, ასობით წერაქვი და ბარი სამგორის მიწას სჭრიდა.

უმაგალითო თავდადებით შრომობენ გორელები სამგორის ველზე. მათთან ერთად განუწყვეტელი რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მეოვნენი ამხ. ი. ყუჯიაშვილი და ა. ქუჩუკაშვილი, მშრომელთა დეპუტატების გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. ქენჩუაშვილი, წყალთა მეურნეობის სასისტემო სამმართველოს უფროსი ინქინერი ე. ბერიანიძე და სხვები.

— გორელებმა იციან რას ნიშნავს სამგორის მიწის შემატება საქართველოს საკოლმეურნეო თარმონთბათვის. ეგორელი ჯიშების ვაზებიც გაიხარებენ აქ, ატმისენებიც. ბარაკი შეიმატება ჩვენს ქვეყანას. აქეთან წაღებული ბამბა მოიქსოვება გორის დიდ ს

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲔ

(Მ. Ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.)

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲛᲝᲬᲘᲤᲘᲗᲘᲐ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲘᲮᲘᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ — ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲔᲠᲗᲐᲠᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲠᲡᲚᲔᲑᲘᲡᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲡᲘᲜᲗᲚᲔ.

ᲐᲛᲘᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲝᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲡᲘᲜᲗᲚᲔ.

ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘ ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲩᲘᲜᲐᲩᲘᲜᲘ.

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲬᲧᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲗᲔᲑᲔᲚᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜ-ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ ᲜᲐᲗᲔᲚ ᲡᲘᲜᲗᲚᲔ ᲩᲐᲜᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲨᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ.

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔ. ᲛᲐᲡ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲮᲐᲚ ᲔᲠᲐᲡ ᲙᲐᲪᲝᲠᲘᲜᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲒᲓᲔᲜᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ. ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲮᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲯᲔᲠᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘ ᲫᲚᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲖᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲐᲯᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲐ, ᲕᲔᲠᲪ ᲡᲐᲪᲧᲝᲠᲑᲝᲚᲝᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ. ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲚᲔᲚᲘ ᲫᲚᲔᲚᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲒᲖᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲕᲔᲠᲪ ᲓᲐᲯᲐᲓᲝᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲒᲐᲢᲔᲮᲐ, ᲕᲔᲠᲪ ᲡᲐᲪᲧᲝᲠᲑᲝᲚᲝᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲓᲦᲔᲡ. ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲒᲐᲜᲘᲪᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

„ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ“ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲪᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲯᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲘᲗᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲠᲐᲕᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲣᲚᲘ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲐ.

Кнему стучались в двери днем
и ночью,
И был для всех он, как живой
родник—
Тверской крестьянин, питерский
рабочий
И ленинской закалки большевик.

— ᲐᲡᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ Ⲙ. ᲘᲡᲐᲯᲙᲝᲕᲡᲘ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲔ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲮᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲮᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲛᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲝᲚᲕᲐᲜᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲐ ᲛᲘᲛᲘᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ „ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲗ“ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲘᲪᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲘᲧᲝ. ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ—ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲡᲐᲯᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲘᲠᲕᲔᲚᲘ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲘᲗᲐ, ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲘᲠᲐᲕᲘ ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲣᲚᲘ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲝᲓᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲠᲩᲔᲣᲚᲐ.

Кнему стучались в двери днем
и ночью,
И был для всех он, как живой
родник—
Тверской крестьянин, питерский
рабочий
И ленинской закалки большевик.

— ᲐᲡᲔ ᲬᲔᲠᲓᲐ ᲞᲝᲔᲢᲘ Ⲙ. ᲘᲡᲐᲯᲙᲝᲕᲡᲘ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲮᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲓᲘᲓᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲛᲚᲝᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲡ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲛᲑᲐᲮᲐᲜᲐ ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ Გ. Ვ. ᲚᲔᲜᲘᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ Ⲙ. Ⲟ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲚᲔᲥᲪᲘᲨᲘ.

ᲛᲘᲮᲔᲚ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ-ᲫᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲚᲔᲞᲢᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲨᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲘ

პუშკინი და საქართველო

პუშკინში რუსეთისადმი მეზნებარე სიყვარული ორგანულად შეხამებული იყო სხვა ერების პატივისცემასთან. კერძოდ საქართველოსადმი გენიალური პოეტი-პატრიოტი დიდ ინტერესსა და სიყვარულს იჩენდა.

„მე შენ თავდაბოლ ყუბითი მიყვარდი“, — ამბობდა პუშკინი კავკასიაზე. მაშინ, როდესაც ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით იპყრობდა თავისუფლებისმოყვარე კავკასიელებს, პუშკინი უმღეროდა მათ თავის პოეტურ შედევრებში, რომლებიც რუსული ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდნენ. მან აღფრთოვანება რუსი მეთხველებისა და შეწრელებისათვის სამხრეთის „აღთქმული მხარე“, თავისუფლების, დაუშრეტელი პოეზიისა და ჭმეკუფარე ცხოვრების მხარე. პირველად პუშკინის ლირიკაში მკაფიოდ ისახება ჩვენი თვალწარმტაცი ბუნება, კავკასიელთა თავისებური ყოფაცხოვრება და ხალხური შემოქმედების მარგალიტები. მართალია, რუსეთში ჯერ კიდევ XVI საუკუნეში დაიწერა მოთხრობა საქართველოს მფლე დინარას (თამარის) შესახებ; კავკასია მოხსენებული იყო ა.რეთვე ლომონოსოვის, დერჟავინის, ჟუკოვსკის, ზარეფნისა და სხვათა ნაწარმოებებში, მაგრამ „კავკასიის გრანდიოზული სახე, მისი მბრძოლი მცხოვრებლები პირველად მოგვცა რუსულმა პოეზიამ; და მხოლოდ პუშკინის პოეზიაში რუსეთის საზოგადოება პირველად გაეცნო კავკასიას, რომელსაც უკვე დიდი ხანია იცნობდა რუსეთი თავისი ირაღიი“, — წერდა ბელინსკი „კავკასიის ტყვის“ შესახებ.

გენიალური პოეტის უკვე ამ პირველ „საბრეთულ პოემაში“ (1821 წ.) იგრძნობა ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის ღრმა ცოდნა. „საქართველოს ბედნიერი ჰავა არ უნაზღაურებს ამ მშვენიერ ქვეყანას ყველა იმ უბედურებას, რასაც იგი გამუდმებით განიცდის, ქართველთა სიმდერები სასიამოვნოა“, წერდა პუშკინი „კავკასიის ტყვის“ ერთერთ შენიშვნაში.

საქართველოთი დიდი პოეტი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ცარსკოე სელოს ლიცეუმში სწავლის დროს დაინტერესდა 1814-17 წლებში. ცნობილია, რომ მაშინ მას მეგობრობა ჰქონდა ჩაადაევთან, კავერინთან და ჭუსართა პოლკის სხვა ოფიცრებთან. ეს პოლკი 1812-1814 წლების სამამულო ომში ძლეავმოსილ ლაშქრობათა შემდეგ დაბანაკებული იყო ცარსკოე სელოში. ენდა ვიგულისხმოთ, რომ ამ პოლკის ქართველი ოფიცრებთან — ალექსანდრე ჭავჭავაძესა და რომან ბაგრატიონთან, უმცროსი კუროსის ლიცეისტე დ. ა. ერისთავსა და სხვა ქართველებთან ურთიერთობამ ინტერესი გაუღვიძა პოეტს ჩვენი ქვეყნისადმი.

ამ ინტერესის გაღვიძებაში მნიშვნელოვანი როლი შეიძლება შეესრულებინათ აგრეთვე პოეტის მეგობრებს — ა. ს. გრიბოედოვსა და ა. ა. შიშკოვს (ცნობილი ადმირალის ა. ს. შიშკოვის ძმისწულს), რომლებიც 1818 წელს გადმოასახლეს „სამხრეთ ციმბირში“; აგრეთვე პოეტის მეგობარს ვ. კ. კიუხელბეკერს, რომელიც 1821 წელს ჩამოვიდა თბილისში, გენერალ ერმოლოვის განკარგულებაში; ა. ს. პუშკინის ოვიძლ ძმას ლევს (მსახურობდა კავკასიის კორპუსში) და ათობით დეკაბრისტებს — პოეტის მეგობრებს, რომლებიც 1825 წლის შემდეგ გადმოასახლეს საქართველოში. ცნობილია, რომ ბევრ ბაზგანს კავშირი, ურთიერთობა ჰქონდა პუშკინთან, ეპატიჟებოდნენ მას მზიფერ საქართველოში, რომელიც მათი მეორე სამშობლო გახდა.

ჯერ კიდევ 1819 წელს განიზრახა პუშკინმა საქართველოში ჩამოსვლა, მაგრამ ათი წლის განმავლობაში ვერ მოიყვანა მან სისრულეში თავისი სურვილი, რადგან მუდამ გადასახლებაში ან პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

1820 წლის ზაფხულში სამხრეთ რუსეთში გადასახლებული პუშკინი ნ. რაევსკისთან ერთად ჩამოდის კავკასიაში, მაგრამ მაშინ მან ვერ მოახერხა საქართველოს ნახვა. „ყაზბეგისა და ილბუზის ყინულიანი მწვერვალები“, როგორც თვითონ პუშკინი წერს, დაინახა მხოლოდ შორიდან, პიატიგორსკიდან; ამიტომ იძულებული იყო „კავკასიის ტყვის“ მოქმედების ადგილად აერჩია არა საქართველო, არამედ ჩრდილოეთ კავკასია, რაზეც გულისტკივილით წერს ნ. ი. გნედიჩს: „ჩემი პოემის სცენა უნდა ყოფილიყო ბოძოქარი თერგის ნაპირებზე, საქართველოს საზღვრებზე, კავკასიის ღრმა ხეებში“.

გადასახლებაში ყოფნისა და პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის მიუხედავად, პუშკინი მაინც ცდილობს ჩამოვიდეს საქართველოში, გაეცნოს ამ „ზღაპრულ მხარეს“ და ინახულოს მეგობრები. 1827 წელს იგი თავის ძმას, ალეგანი დაბანაკებული პოლკის ოფიცერს ლევ სერგეი-ძეს სწერს, საქართველოში ჩამოსვლას ეპპირება. მაგრამ პოეტმა ვერც მაშინ მოახერხა სურვილის შესრულება.

ერთი წლის შემდეგ, მას შეაქვს თხოვნა „მისი უმაღლესობის“ სახელზე ამიერკავკასიის არმიაში ჩარიცხვის შესახებ. როგორც ჩანს, ამას ერთგვარი ბიძგი მისცა გრიბოედოვთან შეხვედრამაც, რომელიც საქართველოდან პეტერბურგს ჩავიდა ირანთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებით. პეტერბურგში ყოფნისას გრიბოედოვი ხშირად ხვდებოდა პუშკინს. დიდმა რუსმა კომპოზიტორმა მ. გლინკამ ჩაიწერა: „თითქმის ბოელი დღე გავატარე გრიბოედოვთან, ავტორთან კომედიისა „ვაი ჭკუისაგან“, იგი ძალიან კარგი მუსიკოსი იყო და გამაცნო ქართული სიმღერის თემა, რომელზეც მალე შემდეგ ა. ს. პუშკინმა დაწერა რომანსი „ნუ იმღერ, გრძნეულო ქალო, ჩემთან“.

რადგან მთავრობის ნებართვას ვერ ეღირსა, 1829 წლის გაზაფხულზე, ისარგებლა რა იმით, რომ პოლიციის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო ნიკოლოზ I ვარშავაში გამგზავრებისადმი, ალექსანდრე სერგეი-ძე უმაღლესი ხელისუფლების ნებადაურთველად გამოემგზავრა საქართველოში. ეს რომ დედაქალაქის პოლიციამ შეიტყო, სასწრაფოდ გააფრთხილა მთავარსარდალი საქართველოში პასკევიჩი, რომ პოეტისადმი მეთვალყურეობა დაეწესებინა.

„ხელმწიფე იმპერატორი“, როგორც ჟანდარმთა შეფი ა. ბენკენდორფი წერს, მეტად უკმაყოფილო გახდა იმის გამო, რომ „პოლკესი“ ალექსანდრე სერგეს-ძე პუშკინმა „თვითნებობა“ გამოიჩინა და მოითხოვდა მისი საქციელის გამოძიებას.

პასკევიჩმა თავის მხრივ განკარგულება მისცა თბილისის სამხედრო გუბერნატორს ს. სტრეკალოვს, რომ „მისადმი (პუშკინისადმი) სათანადო მეთვალყურეობა დაეწესებინა საქართველოში მისი ჩასვლის შემდეგ“. „მხედველობაში მქონდა რა მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის უმაღლესი ბრძანება მთავრობის მეთვალყურეობაში ალექსანდრე პუშკინის ყოფნის შესახებ, გარდა იმისა, რომ გუბერძანე საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს თვალყური ედევნებინა მისი ყოფაქცევისათვის, პირადად სათანადო ყურადღებას ვაქცევდი მის ცხოვრებას“, — მოახსენებდა ს. სტრეკალოვი ა. ბენკენდორფს.

...პოეტმა იმოგზაურა საქართველოს სამხედრო გზით. გადადოლახა ია ჯვარის უღელტეხილი „მრისხანე კავკასიიდან შმეეფიერ საქართველოსაკენ“, პუშკინი 27 მაისს უკვე თბილისში იყო.

„თბილისში დავყავი დაახლოებით ორი კვირა და გავეცანი იქაური საზოგადოებას“—წერდა პოეტი თავის ნარკვევში „მოგზაურობა არზრუმს“. ეს საზოგადოება პუშკინის პატივსაცემად მართავდა სალამურის ორთაჭალის ბაღებში, აცნობდა მას ქართულ კულტურას, ზნე-ჩვეულებებს. ახლა პოეტი უფრო ახლო გაეცნო საქართველოს, ჩაიწერა დ. თუმანიშვილის ქართული სიმღერა „ახალ აღნაგო“, რომელიც მოყვანილი აქვს თავის ნაწარმოებ „მოგზაურობა არზრუმში“.

10 ივნისს პუშკინმა პასკევიჩისაგან მიიღო ნებართვა წასულიყო არმიაში, თურქეთში, სადაც იმყოფებოდნენ პოეტის ძმა ლევ სერგეი-ძე, ნ. რაევსკი და მისი სხვა მეგობრები — დეკაბრისტები. იგი იმავე დღეს გაემგზავრა არზრუმისაკენ.

11 ივნისს კავკასიის მიყრუებულ ზეობებში, გერგეთის ახლოს, გენიალური პოეტი შეხვდა თავისი თანამოკალმის, ირანში მოკლული დიდი რუსი დრამატურგის ა. ს. გრიბოედოვის ცხედარს. ძნელი წარმოსადგენია, თუ რას განიცდიდა მაშინ პუშკინი. პუშკინის ნაწარმოებში „მოგზაურობა არზრუმს“ ეს სამწუხარო შეხვედრა ასეა აწერილი: „სამი აქაფებული ნაკადი გადმოქუხდა მაღალ ნაპირზე. მე დგავედი მდინარეს. უღელხარშებმული ურემი ციცაბო გზაზე ამოდიოდა. რამდენიმე ქართველი ახლდა ურემს. — საიდან მოდიხართ, ეკითხე მათ. — თერანინდან.—რა მოგაქვთ? — გრიბოედოვ.—ეს იყო მოკლული გრიბოედოვის ცხედარი, რომელსაც თბილისს მიასვენებდნენ. აღარ მგონია, თუ ოდესმე შევხვდები ჩვენს გრიბოედოვს მას შარშან შეეხედი პეტერბურგში, სპარსეთს რომ მიემგზავრებოდა. იგი ნაოვლიანი იყო და უცხაური წინაგრძნობანი ჰქონდა. მე მინდოდა კიდეკიც დამემშვიდებინა იგი...“.

...პუშკინი რუსეთის არმიას დაეწია.

„არზრუმიდან უკან დაბრუნებისას თბილისში კიდევ რამდენიმე დღე დავყავი,—ამბობს პუშკინი, — თავაზიან და მხიარულ საზოგადოებაში, რამდენიმე საღამო გავატარე... ბაღებში, სადაც ვისმენდნი ქართულ სიმღერებს“.

• • •

1829 წლის მოგზაურობის დროს პუშკინი ახლოს გაეცნო საქართველოს ცხოვრებას, ბუნებას და ასახა იგი თავისი ლირიკის მარგალიტებში — „კავკასიონი“, „ზვავი“, „საქართველოს მთებზე“ და ა. შ. ქართულმა თემამ საპატიო ადგილი დაიკავა რუსი გენიოსის შემოქმედებაში. კავკასიის ბუმბერაზ მთებში და ველებზე ახლებურად აღიქერა პუშკინის პოეტური ხმა, თითქოს ჩვენი მთავარი მწვერვალებიდან მან უკეთ, უფრო მკაფიოდ დაინახა ხალხთა ცხოვრება.

